№ 169
სამშაბათი, 19 აგვისტო 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 169
სამშაბათი, 19 აგვისტო 1897 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველ აგვისტოდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია“ ჰღირს 5 მან. 50 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში
**მ. ლალიძის** გამოცემული
ახალი თხზულება-პოემა
აკაკისა
## ნათელა
(ძველებური ამბავი)
წიგნი დაბეჭდილია მშვენიერს ქაღალდზე, შეიცავს 72 გვერდს.
**ფასი თითო აბაზი.**
ვინც ამ წიგნს ერთად ნაღდ ფულზედ იყიდის გამომცემლისაგან ქუთაისში, დაეთმობა 20°/₀. მსურველთ ფასს-დადებითაც გაეგზავნებათ. (10—145—7)

### რედაქციისაგან

ვაცნობებთ იმ ხელის-მომწერელთ, რომელთაც შარშან პირველ იანვრიდგან მთელის წლით გამოიწერეს და თუმანი წარმოადგინეს, რომ გაზეთი მოესპობათ ამ აგვისტოს დამლევს. ვისაც ჰსურს აქ 1897 წლის დამლევამდე ეგზავნებოდეს გაზეთი, თუმანს უნდა დაუმატონ კიდევ 3 მან. 33 კაპ.

### მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო თფილისის სასაღოსნო სკოლის მასწავლებელთ კანდელაკს და ჯაფარიძეს—ტიტულიარნი სოვეტნიკობა. კოლეჟსკი ასესორობა: განჯის ოლქის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელს აბულაძეს და ფოთის მომრიგებელ მოსამართლის მდივანს ჩიკვაიძეს; ტიტულიარნი სოვეტნიკობა: ქუთაისის ოლქის სასამართლოს მდივნის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელს ჯანელიძეს, იმავე სასამართლოს არხივარიუსის თანამდებობის აღმასრულებელს ხუსკივაძეს და ხონის მომრიგებელ-სასამართლოს ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელს კიკვაძეს; კოლეჟსკი სეკრეტრობა: შორაპნის მომრიგებელ სასამართლოს მდივნის თანაშემწეს კვიტაშვილს და ქუთაისის მაზრის მომრიგებელ სასამართლოს მდივნის თანაშემწეს ჩიკვაიძეს. გუბერნსკი სეკრეტრობა: სენაკის მომრიგებელ სასამართლოს კანცელარიის მოხელეს გაბუნიას; კოლეჟსკი რეგისტრატორობა: ბაქოს ოლქის სასამართლოს მდივნის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელს აბაზაძეს, ზუგდიდის მომრიგებელ სასამართლოს კანცელარიის მოხელეს კეიდიას და ფოთის მომრიგებელ სასამართლოს კანცელარიის მოხელეს ჯაიანს.

## ახალი ამბავი

⁂ უწმ. სინოდის გადაწყვეტილებით შვილებს იმ მასწავლებლებისას, რომელთაც სამრევლო-საეკლესიო და წერა-კითხვის სკოლებში ათ წელიწადზედ ნაკლებ არ უმსახურნიათ, არ გადაჰხდებათ სასულიერო სასწავლებლებში სწავლის ფასი ისე, როგორც სასულიეროს წოდებაში მოსამსახურეთა შვილებს არ ერთმევათ.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტრო ჰგზავნის ტფილისის გუბერნიაში რვა ბეითალს საქონლის ჭირთან საბრძოლველად.

⁂ ტფილისის საფერშლო სკოლაში მისაღები ეგზამენები 26 აგვისტოსათვის არის დანიშნული.

⁂ ტფილისის სასულიერო სასწავლებელში განმეორებითი ეგზამენები და მიღები გამოცდა 25 აგვისტოსათვის არის დანიშნული.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან მასწავლებლობის წოდება წელს მხოლოდ ერთმა ქართველმა ქალმა მიიღო: ქ-ნმა მ. ფ. ნათიშვილისამ.

⁂ როგორც ჩვენ მკითხველებს მოეხსენებათ, ახალი ამხანაგობა შესდგა, რომელმაც უნდა განაგოს მომავალ სეზონში, დრამატიული კომიტეტის ნაცვლად, ქართული თეატრის საქმე. ამ ამხანაგობამ უკვე მოილაპარაკა და შეადგინა ხარჯთ აღრიცხა. ხარჯთ-აღრიცხვიდგანა სჩანს, რომ ამხანაგობა მომავალს სეზონში 5,000 მანეთს ზარალს მოელის, რომლიდგანაც თვით 1,000 მანეთის გასტუმრებას კისრულობს, ხოლო დანარჩენ 4000 მანეთს, რაღაც გაუგებარის ლოღიკის ძალითაო, ამბობს გაზ. „კავკასი“, დრამატიულ საზოგადოებას ავალებს. დრამატიულ კომიტეტს აზრადა აქვს მომავალს სექტემბერში მოახდინოს საზოგადო კრება და ამ კრებას მიანდოს იმისი გარდაწყვეტა, იკისრებს თუ არა საზოგადოება 4,000 მანეთის გასტუმრებასაო.

⁂ პირველ-დაწყებითი გამოძიება იმ 50 ათასის მანეთის მოპარვის შესახებ, რომელიც იგდირის სამაზრო ხაზინას უნდა მიეღო, მინდობილი აქვს საგანგებო საქმეთა გამომძიებელს ა. ვ. მასკალევს.

⁂ ბ-ნს კეზელს საჩივარი შეუტანია „ცნობის ფურცლის“ რედაქტორის ვალ. გუნიას წინაალმდეგ. გაზ. „ცნობის ფურცლის“ ერთ №-ში დაბეჭდილი იყო კორესპონდენცია დუშეთიდგან ერთის „აბლაკატის“ შესახებ, რომელიც „ჰძარცვავს და ატყუებს გლეხ-კაცობასაო“; კორესპონდენციაში არ იყო მოხსენებული გვარი და სახელი ამ „აბლაკატისა“, მაგრამ ბ-ნმა კეზელმა მაინც თავი იცნო და ეხლა უჩივის ვ. გუნიას, ცილი დამწამა და შეუბღმორეცხილ და უსინიდისო „აბლაკატად“ დამსახაო. ბ-ნს დ. კეზელს სასჯელთა დებულების მე-1039 მუხ. ძალით შეუტანია საჩივარი, თუმცა წინად იმუქრებოდა 1535 მუხლის თანახმად ვიჩივლებო.

განსხვავება ამ ორს მუხლს შორის ის არის, რომ 1535 მუხლის ძალით რომ ეჩივლა, ვ. გუნიას უფლება ექმნებოდა დაემტკიცებინა თვისი სიმართლე როგორც მოწმეთა ჩვენებით, ისე წერილობით საბუთებითაც. ხოლო რა-კი საჩივარი დაწყებულია 1039 მუხლის ძალით, ვ. გუნიას მხოლოდ წერილობით საბუთების წარდგენა შეუძლიან, მოწმეებს-კი სასამართლო არ მიიღებს, რომ ჰყავდეს კიდეც.

⁂ 17 აგვისტოს უკვე დაუსაფლავებიათ თავ. ნიკო დიასამიძის გვამი. დასაფლავებას დასწრებიან ეპისკოპოსი ალექსანდრე, სხვა სამღვდელოება და დიდ-ძალი ხალხი. გამოძიება მისის მოკვლის შესახებ თანდა-თან არკვევს ამ საქმის ყოველსავე გარემოებას. ამ ჟამად რვა გლეხკაცია დაპატიმრებული, მათ შორის

## ფელეტონი

### ბაგრატ-მირზა

(ისტორიული ამბავი)

(შემდეგი *)

#### IX

მეხუთე დღეს ბაგრატ-მირზამ სიცხე იგრძნო მთელს სხეულში, თავის ტკივილი აუვარდა და სველი ხველა დააწყებინა. რამდენი დრო გადიოდა, ის თანდათან ყვითლდებოდა, თვალები უვარდებოდა და ჯან-ღონე აკლდებოდა. ავადმყოფს მეფეს მხოლოდ ასული ლელო უვლიდა, რომელიც ერთგული იყო მამისა. იმისმა სნეულებამ უფრო არივ დარია ქართლ-კახეთის საქმეები. სამართლის მაძიებელი სამართალს ვერსად ჰპოვებდა, ყველგან მუშტი-კრივი ჰმეფობდა. ხალხის მშველელი არავინ იყო, რამდენისამე პატიოსანის ადამიანის გარდა. ხალხს ბაგრატ-მირზას სიკვდილი ენატრებოდა. ამას კარგადა ჰგრძნობდა სნეული ბაგრატ-მირზა, მაგრამ რას იზამდა: ძალა აღარა ჰქონდა-რა, იმისს გულ-გვამში ჯოჯოხეთური ცეცხლი ენთო.

გავიდა ასეთს ყოფაში ექვსი თვე. ბაგრატ მირზა დაილია, დადნა, ისე ჩამოხმა, რომ ძვლებს დასთვლიდა კაცი მისს სხეულზედ, ბოლოს ხანს პირიდგან სისხლიც რამდენჯერმე წავარდა. ერთხელ სამხრობისას ბაგრატმა მოიკითხა თავისი ცოლი ანნა-ხანუმი, ძე სიმონი, ასული ლელო და მოლაც.

— ვკვდებიო, სთქვა ბაგრატმა: და თუ გსურს, ჩემო შვილო სიმონ, მეფობა, გახდი მეფედ ქართლისა. მაგრამ მე-კი ამას არ გირჩევ, ჩემო შვილო... თუ მეფედ გახდე, ჰკურნე ხალხის წყლული, შემწე ექმენ ტანჯულს უმრავლესობას, მიეც კანონი და სამართალი დაჩაგრულებს და მაშინ იქნები ღირსეული მეფე, უამისოდ კი მეფობას ისა სჯობს, უკანასკნელი მხედარი, უკანასკნელი გლეხი იყო. შენ, ჩემო მეუღლევ! ორივ შენს შვილს კეთილი დედობა გაუწიე. ლელო, იყავ ერთგული შენის მიჯნურის გიორგი ამილახვრისა, რომლის ნახვაც მინდოდა ამ უკანასკნელს ჟამს, მაგრამ ვერ ვეღირსე. ეხლა-კი აღმისრულეთ უკანასკნელი სურვილი: მიმეგზავნეთ მამა პეტრესთან, მოვიდეს, მანუგეშოს! ერთი იმისი შეხედვა გულის ნაღველს შემიმსუბუქებს და დამამშვიდებს.

ამ სიტყვების გამგონე მოლამ ეშმაკურად გაიღიმა, მაგრამ თქმით-კი არა სთქვა-რა.

— ეხლავე, მამა, ეხლავ მოგიყვან მამა პეტრესა! სთქვა ლელომ და კარში გავიდა.

ბაგრატ-მირზა კედლისაკენ გადაბრუნდა. მოლამ და ანნა-ხანუმმა ხმა გაკმიდეს. მკვდარი სიჩუმე ჩამოვარდა ავადმყოფის საწოლს ოთახში, მხოლოდ ხანდახან ისმოდა ძლიერი და ღრმა ოხვრა ბაგრატ-მირზასი.

#### X

— გიჟი ქალი, ღვთის შეწევნით, მოგირჩინე... ახლა როგორც გირჩიო, ისე ჰქენი. ბატონიშვილს ლელოს გიორგი ამილახვარი თხოულობს მეუღლედ, და ლელოს ჰსურს შენი ნატო მოახლედ გაჰყვეს. ის კარგად უპატრონებს შენს ქალსა, კაი კაცზედ გაათხოვებს, გააბედნიერებს! მერე იცი, რა ღვთისნიერია ლელო?!

უყვარს ღმერთი, წირვა-ლოცვაზედ სიარული, ღარიბი და გაჭირვებული ებრალება და სრულიად არა ჰგავს თავის ცოდვილს მამასა და დედას, მაგრამ თუ შენ არა გსურს, მე ძალას არ დაგატან.

— თანახმა ვარ, მამაო! განა შენ ცუდს რასმეს მირჩევ?

— გაბრიელო! ნატოსაც დავეკითხოთ. ის ახლა ხელ-საქმეს აკეთებს ჩემს დებთან, რომელთაც ისე შეიყვარეს, როგორც საკუთარი და. ნატო! მოდი აქა! გასძახა მოძღვარმა.

ნატო უეცრად შემოიჭრა იმ ოთახში, სადაც მამა პეტრე და გაბრიელი საუბრობდნენ. მამის დანახვაზედ ქალმა შეჰკივლა და მხურვალედ კისერზედ მოეხვია. მოძღვარმა უთხრა ნატოს ყველაფერი, რაც მის მომავალს ბედს შეეხებოდა, და რაც იმას და მშობელს მამას ჰსურდათ. ნატო თანახმობა გამოაცხადა და მორცხვად ჩაჰკიდა თავი.

მიყვარს ბატონიშვილიო, სთქვა ნატომ, ისეთი კაი ქალია, რომ ჯოჯოხეთშიაც რომ წამიყვანოს, იქაც კი წავყვები; ნეტავი შემეძლოს რითიმე ვასიამოვნო იმასა და სხვა არა მინდა რა.

— მართლა, ბაგრატ-მირზა ძალიან შეწუხებულია, მამაო?! ჰკითხა გაბრიელმა მოძღვარსა, როდესაც ნატო გავიდა.

— ძალიან, ძალიან! უკანასკნელს დღეშია.

— ღმერთო, შეგცოდე, და იქნება ხალხის უსამართლობა იმას დაატყდა თავზედა და სამაგიერო იმასა ჰხდება?!

— ღმერთმან იცის, შვილო!

სწორედ ამ დროს მამა პეტრემ დაინახა მასთან მომავალი ბატონიშვილი ლელო, რომელსაც შეიარაღებული მხედარნი მოსდევდნენ.

— მამა ძლიერ შეწუხებულია და სურს სიკვდილის წინ შენგან, მამაო, რაიმე ნუგეში მიიღოს, უთხრა ლელომ მოძღვარს, როცა იგი კარში გაეგება.

მამა პეტრე მაშინვე შებრუნდა შინ, ჯვარი აიღო, გაბრიელს დაუბარა, არსად წახვიდეო და მეფის ასულს გაჰყვა მომაკვდავის სანუგეშებლად.

გაბრიელი დარჩა თავისს ასულ ნატოსა და მოძღვრის დებთან.

— სწორედ უსამართლობა დაატყდა თავს ბაგრატ-მირზასა! სთქვა გაბრიელმა. მართლაც, რომ ბევრი რამ ცოდვა ჩაიდინა იმან და მისმა მხლებელმა.

— თურმე მის მხლებლებს ერთი გლეხი კაცი საკირეში ჩაუწვავთ! სთქვა ერთმა მოძღვრის დამ.

— მეორეს თურმე ცხვირი მოსჭრეს და თვალები ამოსთხარეს! დასძინა მეორემ.

— მე რა მიყვეს, ქალბატონებო, თქვენ ისა სთქვით, ესეც კმარა.

„უსამართლობით სოფელი
არავის მოუჭამია
და ვისაც მოუჭამია,
ბოლოს შეუსვამს შხამია!“

ხშირად სიმღერაში იტყვიან ხოლმე, სთქვა გაბრიელმა. ღმერთი მართლ მსაჯულია. უსამართლობას არავის შეარჩენს. არც სპარსებს შერჩებათ ჩვენი ასეთი დაჯაბნვა, იმათაც გამოუჩნდება მაგიერის გარდა-

*) იხ. „ივერია“ № 168.

ხუთნი ბესო იმერლიშვილი, ლექსო ჩუბინიძე, სარდო ქართველიშვილი, გაბო იმერლიშვილი და ივანე ქართველიშვილი უკვე გამოტეხილან და ულიარებიათ დანაშაული.

⁂ სოხუმის საქველმოქმედო საზოგადოების წესდების პროექტი მთავრობას უკანვე დაუბრუნებია დამფუძნებლებისათვის, რომ წესდება ამ ბოლოს დროს დაბეჭდილ სამაგალითო წესდების თანახმად იქნეს შესწორებული.

⁂ ამ ბოლოს დროს ტფილისში ისევ დიდი სიცხეები დაიჭირა.

⁂ ს.პეტერბურგის სასახლის კარის კაპელაში სალოტბარო კლასები ამ წელს ერთმა ქართველმა, გვარად შარაბიძემ დაასრულა.

⁂ 15 აგვისტოს ტფილისში ჩამოვიდნენ ექიმთა საერთაშორისო კონგრესის წევრნი: კენიგსბერგის უნივერსიტეტის პროფესორი ლაზარკონი, პეტერბურგიდგან დოქტორი მედიცინისა მაქს ბირსფრეინდი და დოქტ. მედიც. ადოლფ ლევი და ადოლფ ბალსკე (გერმანელები); 17 აგვისტოს ყველანი ბათუმს წავიდნენ. შაბათს ჩამოვიდნენ: პერ-გრენი, ტარსტენ ფალკი, პ. ვ. გრანბერგი, რიჰარდ ვარგალმი, გუსტავ ერიქსონი, ფალკე ენსტრემი, კარლოს ოტტონის ძე ელერშტრემი, ფონ-ოტტო მონტელი და ვილჰელმ კალბერგი (შვეციიდგან), ფრიდლენდერი (ავსტრ-უნგრეთიდგან), უნგერ ვეტლევენი და ფრიდერიქს ბრუნეკი (ნორვეგიიდგან) და ფრიდტ ენგელმანი (გერმანელი). ყველანი სასტუმრო „ლონდონში“ ჩამოხტნენ.

⁂ რუსულის გაზეთების სიტყვით, ბაქოს ქალაქის მოურავი ბ-ნი ირეცკი თავს ანებებს თავისს თანამდებობას.

⁂ მუხრანიდგან გვატყობინებენ, რომ იქ წელს მეტად ნაკლები მოსავალი ყოფილა პურისა. ვენახებსაც ძალიან ავნო ნაცარმა და ობმა, რადგანაც ყველამ ვერ უწამლაო თავისს დროზედ. მიზეზი ამისა ის არის, რომ ან შეძლება არ შესწევს გლეხს, ან-და არა სჯერა, რომ ვაზის წამლობა სასარგებლოაო.

⁂ როგორცა სჩანს, დაკარგული 50 ათასი მანეთი ფოსტაშიაც არა ყოფილა მიღებული, რადგანაც პაკეტს, რომელშიაც 50 ათასი მანეთი უნდა დებულიყო (ას-მანათიანები), 62 ლოტი-კი არა, ორჯელ მეტი უნდა აეწონა. მაშასადამე, სულ ტყუილია ის ამბავი, ვითომ ფული ფოსტის მოხელის ბ-ნ არჯევანიძისაგან მოეპარათ. ფული უთუოდ ადრევე მოპარული იყო, ვიდრე ფოსტაში მიიღებდნენ.

⁂ როგორც გაზ. „ნოვ. ობოზრენ.“-ე იწერება, მცხეთელებს გარდაუწყვეტიათ მთავრობას სთხოვონ, რომ საეტაპო სახლი იქმნას აშენებული მცხეთაში. მიზეზი ამ თხოვნისა ის არის, რომ ადგილობრივნი მცხოვრებნი მეტად შეწუხებულნი არიან თურმე პატიმრების თავიანთს სახლში შენახვით, როდესაც-კი მცხეთაზედ აატარ-ჩამოატარებენ ხოლმე ტუსაღებს.

⁂ დ. ხონი. კვირას, 10 ივლისს, დანიშნული იყო კრება არჩეულ კაცთა, რომელთაც უნდა მოელაპარაკნათ კერძო გიმნაზიის დაარსების შესახებ ხონში. კრებას დაესწრო, სხვათა შორის, სემინარიის დირექტორი ბ-ნი მოხირი. მან წაგვიკითხა მზრუნველის მოწერილობა ამ საქმის შესახებ, რომელიც იწერება, რომ მთავრობას არ შეუძლიან გიმნაზიის დაარსება ხონში და თქვენ თუ რამეს ეცდებით, ჩვენ დიდის სიამოვნებით მივეგებებითო. წერილის წაკითხვის შემდეგ სთქვა, რომ გიმნაზიის დასაარსებლად საჭიროა ამ თავით 30,000 მან. თანხა, რომლის სარგებლით გიმნაზიისათვის შენობას ვიქირავებთო. ჩემის აზრითო, ბრძანა ბ-ნმა მოხირმა წლიურად ას-ასი მან. რომ გამოვიღოთ, შეკრებული ფული თუ არ ადემატება მასწავლებლების ჯამაგირის (დირექტორად მე დავრჩები უჯამაგიროდაო) დასაკმაყოფილებელი მაინც იქმნებაო. ხოლო თუ მთავრობა აქაურ გიმნაზიას არ მისცემს იმ უფლებათ, რაც სხვა გიმნაზიებს აქვს, ფულს უკან დაგიბრუნებთო. კრებაზედ წარმოითქვა ბევრი აზრი და მათ შორის მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა თავ. დ. წულუკიძემ. კრების თავმჯდომარე ბ. ი. პეტროვმა შეადგინა ოქმი, რომ ყველა აქ მყოფმა უნდა გამოვნახოთ საშვალებანი თანხის შესადგენად. ამორჩეულ იქმნა 20 კაცი კომიტეტის წევრებად, რომელთაც დაევალათ გამოჰნახონ წყარო თანხისათვის და შეიმუშავონ საგიმნაზიო პროექტი. ამავე დღეს ბ-ნი შარაშიძის გამგეობით და ბ-ნ ბალანჩივაძის მონაწილეობით გამართული იყო სალიტერატურო და საცეკვაო საღამო აქაურ საქალებო სკოლის სასარგებლოდ. საღამომ მშვენიერად ჩაიარა და დამსწრენი კმაყოფილნი დარჩნენ. ბ-ნმა ბალანჩივაძემ პატარა სცენები წაიკითხა იმერლების ცხოვრებიდგან.

## საზაფხულო საპედაგოგიო კურსები ქ. ტფილისში.

მკითხველ საზოგადოების წინაშე ბოდიშს ვიხდით, რომ აგერ ერთი კვირა გავიდა და საზაფხულო საპედაგოგიო კურსებზედ ველარაფერი მოვიხსენიეთ. მიზეზი მოუხსენებლობისა გახლავთ არა თვალ-საჩინო ცნობანი კურსების შესახებ, რადგანაც ამ ბოლოს სანიმუშო გაკვეთილებზედ თითქმის იგივე იმეორებოდა, რაც წინად იყო; ლექციების შინაარსიც არ იყო თვალსაჩინო, ისევე საზოგადო ხასიათი ჰქონდათ; კერძოდ ჩვენ ცხოვრებასთან ლექციებს არავითარი კავშირი არა ჰქონდა. 16 აგვისტოს ლექციები და სანიმუშო გაკვეთილები დაბოლოვდა. საეპარქიო სამრევლო სკოლათა ზედამხედველმა ბ-ნმა ნ. გ. ტატიშვილმა მასწავლებელთ გრძნობით სავსე სიტყვით მიჰმართა, რომელშიაც აუწყა, თუ კურსებს თითონ როგორის გულით ეკიდებოდა, რა საშუალება არ იხმარა, ოღონდ კურსების საქმე ჯეროვანად მოეწყო. საზაფხულო საპედაგოგიო კურსებიო, სთქვა მან: ჩვენში დღეს პირველად გაიმართა. ძალიან მეშინოდა, ვაი თუ სასურველად არ ჩაიაროს და შემდეგისთვის საპედაგოგიო კურსების გამართვის საშუალება სრულიად მოგვესპოს მეთქი. ბევრნი ცხადად თუ მალვით გვმტრობდნენ კიდეც, ბევრმა კიჟინა მწერლობითაც დაგვცა, მაგრამ მადლობა ღმერთს, ჩვენგან დაკარგული ფული და დრო ისე უნაყოფო არ გამოდგა, როგორც ჰგონიათ. სანიმუშო გაკვეთილებმა ცხადად დაგვანახვა, რომ არამც თუ ჯეროვანი ნაყოფი, არამედ მეტიც გამოიღო ამ საქმემ. ამისი ღვაწლი მიგიძღვით თქვენ, მასწავლებელნო ქალნო და ვაჟნო და გულით გმადლობთ იმ დაუღალავ და გულ მოდგინე შრომისთვის, რომელიც თქვენ გასწიეთ.

17 აგვისტოს მასწავლებელნი სიონის ტაძარში იყვნენ მიწვეულნი, სადაც მღვდელ მოქმედებას ასრულებდნენ მათი ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ვლადიმირი. წირვაზედ მღვდელ-მთავრის მგალობელ გუნდის გარდა ჰგალობდნენ მასწავლებელნი ქალნი და კაცნი, რიცხვით 65. გალობამ მწყობრად და სასიამოვნოდ ჩაიარა, მხოლოდ ერთი რამ აკლდა, — მასწავლებლებმა ქართულს ენაზედ სიონის ტაძარს ერთი საგალობელიც არ უძღვნეს. წირვის შემდეგ საქართველოს ექსარხოსმა ვლადიმირმა მასწავლებელთ მღვდელ მთავრული სიტყვა უთხრა. 18 აგვისტოს სამოსწავლო ნაწილიდგან გამოცდილ იქმნენ ყველა მასწავლებელნი ქალნი და კაცნი, რათა კურსების მიერ მოტანილი ნაყოფი ყველასათვის თვალ-საჩინოდ ყოფილიყო.

კურსების უპირველესი მნიშვნელობა არის: ისე მოეწყოს სწავლა, რომ სამს წელიწადში ბავშვი თვალსაჩინოდ გაწვრთნილი დაუბრუნდეს დედ-მამას. ბავშვის გაწვრთნა დედა-ენაზედ უნდა სწარმოებდეს. გრძნობათა განსპეტაკება მშობლიურ ცოცხალ მოსაუბრე ენით უნდა სრულდებოდეს, იმისს გონებას ქართულ ენაზედვე შემზადებული მასალა ასაზრდოვებდეს (ყოვლად შეუძლებელია უცხო ენაზედ ბავშვთ გონებრივი საზრდო მიეცეთ). დიახ, ქართულს ენაზედ სწარმოებს ბავშვის განვითარება, მაგრამ კურსებზედ ამ საპატიო საგანს ჯეროვანი ყურადღება კი ჰქონდა მიქცეული? ჩვენმა პატივცემულმა ლექტორმა ბ-ნმა ი. ი. ფერაძემ ქართულის ენის შესახებ სთქვა მხოლოდ ის, რაც ბ-ნ გოგებაშვილს უფრო ნათლად აქვს ნათქვამი „დედა-ენაში“. განა ქართულს ენაზედ „დედა-ენის“ მეტს სხვას არას არ უნდა სწავლობდნენ? მაშ ქართულის სწავლებას სკოლაში რაღა მნიშვნელობა აქვს? მარტო „დედა-ენას“ მთა-ტყე-ღრეშიაც ისწავლიან ჩვენნი მოზარდნი! სკოლას მეტი მოეთხოვება, მან მარტო წერა-კითხვა-კი არ უნდა შესძინოს, არამედ ცნობანიც უნდა შეჰმატოს. განა მეტი მოუვიდოდა ბ-ნ ი. ი. ფერაძეს, ან მასწავლებელთ, — განეხილათ ის წესი და რიგი, თუ რანაირად უნდა სრულდებოდეს შესწავლა სამშობლო ქვეყნისა, მისის წარსულის ისტორიისა, ბუნებისა და სხ.

მ—შვილი

## წერილი ქიზიყიდგან.

წელს ჩვენკენ საზოგადოდ სულადის ე. ი. პურის, ქერისა და ფეტ-

---

მხდელი.

### XI

დაღამებამდის კიდევ ორი საათი იყო, როდესაც მამა პეტრე შევიდა ბაგრატ-მირზას საწოლ ოთახში. თვალებ-ჩაცვივნული, გამხდარი, ლანდად ქცეული ბაგრატი გაშტერებით შეაცქერდა შემოსულს მოძღვარს. მოლამ მაცდურად ჩამოისვა მარჯვენა ხელი გრძელს წვერზედ; ავადმყოფის პირის-პირ იჯდა ანნა ხანუმი და იმის გვერდით-კი ისხდნენ სიმონი და ლელო. მოლა ავადმყოფის ფეხთით იჯდა და „ყორანს“ ჰკითხულობდა. მზის სხივები ფანჯრიდგან ბაგრატ მირზას სახეს ელამუნებოდა; მომაკვდავმა თვალები გაუშტერა მზესა, თითქოს ჰსურდა სამუდამოდ გამოსთხოვებოდა და უკანასკნელი მშვიდობა ეთქვა. ბაგრატ-მირზას არ ენანებოდა სოფლის დატოვება, არც ინაღვლიდა სიკვდილს, ოღონდ ცოდვა შენდობილი მომკვდარიყო, ოღონდ თავისს სინიდისს შეჰრიგებოდა. მამა პეტრე დააცქერდა სნეულს თავისის გონიერის თვალებით და იცნო ის გლახაკი, რომელიც ამ რამდენისამე ხნის წინად ჰნახა ტფილისის მახლობლად, მოაგონდა მისი ნალაპარაკევი, შეებრალა საცოდავი ადამიანი და სიბრალულის ნიშნად ცრემლის კურცხლები სცვივოდა. შეატყო გონიერმა მოძღვარმა, როგორ იტანჯებოდა სნეული და შეებრალა მომაკვდავი მეფე.

„იესო მაცხოვარმაო“, იფიქრა გულში მოძღვარმა: „შეუნდო ისეთს ცოდვილებს, როგორნიც არიან მრუშნი და ავაზაკნი. თვით მისი ერთგული მოწაფე მარიამ მაგდალინელი ხომ ერთს დროს განთქმული იყო მრუშობით და სინანულმა, ამ „სულის გამომბრძმედელმა და გამწმენდელმა მადლმა“, იგი შესანიშნავ მადლ-ზნეობის ადამიანად გარდაქმნა. იესო გვიბრძანებს, შევდიოდეთ საპყრობილეში და იქ ვნახულობდეთ ტყვეებსა. მაშასადამე, თვით ღვთაებრივი მოძღვარი არ უარ ჰყოფს ცოდვილების ადამიანურს ღირსებას! ეს მეფეც ერთი ცოდვილთაგანია, ამის გულშიაც აღძრულა წრფელი სინანული და იესო მაცხოვარი შეიწყნარებს.“

ბაგრატ-მირზამ აკანკალებულის ხმით უთხრა მოძღვარს:

— მამაო, შემინდევ შეცოდებანი ჩემნი! შენა ხარ შუამდგომელი კაცისა ღვთის წინაშე. არა ვარ ღირსი ადამიანად წოდებისა! თავ-მოყვარეობით, იწრო თავ-მოყვარეობით დავიდგი თავსა სამეფო გვირგვინი, მაგრამ კი ვერ აღვასრულე ის წმიდა მოვალეობა, რომელიც მეფეს მოეთხოვება. მტანჯველი, მტარვალი ვიყავი ჩემის ერისა. შევიძულე მისი სჯული, მისი ენა, ჯვარს ვაცვი უიმისოდაც ჯვარცმული ჩემი სამშობლო, სავანე ჩემის სახელოვანის მამა-პაპისა. გულზედ ფეხი დავაჭირე ჩემს მშობელს მხარეს, შევაკინე მისი ისტორია, მისი ზნე-ჩვეულებანი, შევაფურთხე მამა-პაპათა ძვლებს! ტანჯულს მამულს წყლული არ განვუკურნე, ცეცხლ-წაკიდებულს უარესად წავუკიდე ცეცხლი. ოჰ, რა ძნელი ყოფილა სჯულის ღალატი!.. ამას ისე ვერ იგრძნობს ცოცხალი კაცი, როგორც მომაკვდავი. ნუ თუ არა სჯობდა ასეთს დანაშაულობათ უკანასკნელი მწყემსი ვყოფილიყავი და ბედნიერად მომკვდარიყავი ღარიბი ღარიბულს სარეცელზედ. უბრალო მწყემსიც-კი დღეს ჩემზედ ბედნიერად სთვლის თავს, თავისის ხვედრის კმაყოფილია. მე-კი, მეფე უბედურად ვკვდები სამეფო სარეცელზედ. ვერას მიშველის ცრემლი, ტირილი, კვნესა, ვაება, სულთქმა და უში!!. აქ დამრჩენია რამდენიმე წუთი სიცოცხლისა, იქ-კი საუკუნო ბნელით მოცული მომავალი, წარსულში-კი ცოდვით სავსე ცხოვრება. მძიმე ცოდვანი ლოდივით გულზედ დამწოლია და შეუბრალებლად მარჩობს. ვიშ, რა კარგი იქნებოდა, რომ დამშვიდებულის სინიდისით შევხვედროდი სიკვდილსა!! ნეტავი მომიბრუნდებოდეს სიცოცხლე! მაშინ ყოველს წუთს კეთილის ქმნით გავატარებდი, მუდამ ჟამს სინანულის ცრემლებს დავღვრიდი, რომ ამით შემემსუბუქებინა ჩემნი ცოდვანი და ჩემს სინიდისს შევრიგებოდი!! მაგრამ ამას ვინ მაღირსებს?! რომ ველირსებოდე, მამაო, მოვი...ნათლე...ბოდი... შევურიგდებოდი ქრისტ...ე...სა...

მამა პეტრემ ვერა უთხრა-რა: იცოდა, რომ ყოველივე სიტყვა ნუგეშინისა გვიან-და იყო და არას გამოადგებოდა მომაკვდავს. მოლამ „ყორანის“ კითხვა განაგრძო.

— რას მეტყვი, მამაო?! ვიცი, რასაც მეტყვი: დადუმდი და მოკვდიო!

— ილოცე, შვილო, შეევედრე ყოვლად მოწყალე ღმერთსა!

უეცრად პირიდგან სისხლი წამოსკდა ნაკადულსავით ბაგრატ-მირზასა და სასიკვდილოდ დაიწყო ქშენა; თან თვალებს აშტერებდა მამა პეტრეს და მის ხელში აღმართულს ჯვარსა. ამ ჯვარზედ მზის სხივები საამურადა ლაპლაპებდა და იქიდგან იესოს სახე თითქოს ლმობიერებით უცქეროდა მომაკვდავს... თითქოს მისი ბაგე ტკბილად ეუბნებოდა: „სინანულმან და სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნოს შენ!“ მზე კიდეც ჩავიდა, მისი უკანასკნელი სხივები ცახცახით ეთხოვებოდა არემარეს. მზის სხივი ბაგრატის სახეზედ ჰკრთოდა, აგერ გაუჩინარდა მზის უკანასკნელი სხივი და დადგა დრო ბაგრატის უკანასკნელის ამოქშენისა. მომაკვდავმა იგრძნო სიკვდილის მოახლოვება, სამჯერ გადიწერა პირჯვარი და განუტევა სული. მიცვალებულს თვალები ღია დარჩა. მოძღვარი გაშტერდა. მოლას იქამდის ეწყინა ბაგრატის საქციელი, რომ „ყორანი“ ხელიდამ გაუვარდა. გაისმა იქ მყოფთა ტირილი.

— უბედურს სამშობლოში დამარხვაც არ ეღირსებაო!.. სთქვა მოძღვარმა და გავიდა.

ერთი კვირა მეფის სხეული დაუმარხავი იყო. ბოლოს შაჰისაგან ბრძანება მოვიდა, რომ ის დასამარხავად სპარსეთში წაეღოთ. იქ იმარხებოდნენ ქართველი მეფეები, რომელნიც-კი მაჰმადიანობას მიიღებდნენ.

მამა პეტრემ ეს ამბავი აცნობა კათოლიკოზს მცხეთისას ზაქარიას, რომელმაც ბრძანა ამ შემთხვევის მატიანეში საშვილიშვილოდ აღნიშვნა.

ფარი

(დასასრული იქნება)

ვის მოსავალი შუათანაზედ ნაკლები თუ არა, მეტი არ არის. ყველანი, ვისაც-კი შეხვდებით, იმასა სჩივიან, წლის სამყოფი სარჩო არ მოგვივიდაო. არც თამბაქოსა და ვენახს უჩანს მეტად სანაქებო პირი. ღირსებით-კი თამბაქო, შარშანდელთან შედარებით, გაცილებით კარგი გამოვა წელს.

აი ეხლა ამ თვიდგან იწყება კოდის პურის მოკრებისა და ჩვენის სამღვდელოების ჩივილ-დრტვინვის დრო. როგორც ყველას მოეხსენება, ჩვენის სამღვდელოების ერთად ერთ უმთავრესს ცხოვრების სახსარს ეს მრევლში მოკრებილი კოდის პური, ანუ, როგორც აქეთ სხვაგვარადაც ეძახიან, წლის გამწესება-დრამა შეადგენს. თუ ყველა კომლმა გაიმეტა და პირნათლად ჩააბარა მღვდელს ეს გამწესება-კოდის პური, მღვდელიც ცოტად თუ ბევრად კმაყოფილი იქმნებოდა თავისის ბედისა, სხვისა თვალსა და ხელში შეცქერა და მათხოვარსავით ხელის გაწვდენა აღარ მოუხდებოდა, მაგრამ უბედურობაც ის არის, რომ გამწესების მესამედს ნაწილსაც ვერ იღებს მღვდელი, რადგანაც კოდის პურის მოკრება სავსებით მღვდელზეა მინდობილი, რაიცა ერთს ვაი-ვაგლახს, უსიამოვნებასა და სიძულვილს იწვევს მღვდელსა და ერს შორის.

მომეტებულს ნაწილს ჩვენი გლეხკაცობისას თავიანთის თავისა და ცოლშვილის შენახვა გასჭირებიათ, ათასგვარ სახელმწიფო და სასოფლო გარდასახადთ რომ თავი დავანებოთ. რა გულ-გონების შემძრუწუნებელ სულიერს ტანჯვასა და სინიდისის ქენჯნას უნდა გრძნობდეს ცოტად თუ ბევრად შეგნებული ადამიანი ამისთანა მდგომარეობაში. გამოართვას კოდის პური,—რაც არ აბადია, რა გამოართვას, არ გამოართვას და ცოლშვილი რით აცხოვროს—რაიმე ხელობა მაინც რომ იცოდეს, ან სასოფლო მუშაობას იყოს შეჩვეული, როგორმე ოჯახს არჩენდა, მაგრამ გონებრივის ვარჯიშობის მეტი არა გამოჰყვა-რა სასწავლებლიდგან. როგორი ხასიათის სიმაგრე, ზნეობრივი სიფაქიზე და რწმენა აზრების სიმტკიცით უნდა იყოს აღჭურვილი ადამიანი, რათა ამისთანა ვითარებაში, ღვთიური ნაპერწკალი არ დაჰკარგოს, სულით არ დაეცეს და ყოველივე კეთილი მისწრაფება არ გაუქარწყლდეს. სასურველია, რაც შეიძლება მალე შეიცვალოს ეს სულის აღმაშფოთებელი ურთი ერთობა, ეს აღებ-მიცემობა და ვაჭრული დამოკიდებულება მღვდელსა და მრევლს შორის, რაიცა უნაყოფოთა ჰქმნის სულიერ მამათა ყოველგვარ კეთილს, მამა შვილურს სწავლა დარიგებასა და სასარგებლო დაწყებულებას. ასეთ, თუმცა სამღვდელოების ყოფა-მდგომარეობის არა ძირიან ფესვიანად გამაუმჯობესებელ, მაინც დროებით საკეთილო საშუალებად, სანამ უმაღლესი სასულიერო მთავრობა საეკლესიო კრებულთ საკმაო ჯამაგირებს დაუნიშნავს, მე შემდეგი მიმაჩნია: კოდის პურ-გამწესების საფასური ფულად სამაზრო ადმინისტრაციამ, გუბერნატორის ნებართვით, სახელმწიფო გადასახადს უნდა მიაკეცოს და ამ სახელმწიფო-გარდასახადთან ერთად იკრიბებოდეს ხაზინაში შესატანად ყოველს წელს, საიდგანაც კრებულის წევრნი ყოველ თვე ნაწი-ნაწილ მიიღებენ ამ ფულს. ამ საშუალებით შეიძლება თავიდგან ავიცილოთ ის არა სასურველი უთანხმოება და დავიდარაბა, რაიცა მღვდლის მიერ კოდის პურის კარის-კარ მოკრებას მოსდევს. კარგი იქმნებოდა, ჩვენი სიტყვები არ დარჩენილიყვნენ „ხმად მღაღადებელისად უდაბნოსა შინა“ და ვისგანაც ჯერ არს, ღირსეული ყურადღება მიექცეს ამ ჩვენის არა მცირედ რიცხოვან სამღვდელოების ღღიურს ვარამსა და მრავალ წამებულს საჭირბოროტო საკითხს, მით უმეტეს, რომ ეხლა სამღვდელოებას, სხვა მძიმე და პასუხის საგებელ თანამდებობა-მოვალეობათა გარდა, ერთი ფრიად დიდმნიშვნელოვანი და მასთან საძნელოთული მოვალეობაც ჩააბარეს ე. ი. სამწყსოს სწავლა-განათლება, სამრევლო სკოლათა დაარსება, ხელ-მძღვანელობა. რათა ამ საპატიო მოვალეობას სამღვდელოება ჯეროვანად პირნათლად გაუძღვეს, საჭიროა იგი ქონებრივად უზრუნველ იქმნას, რომ თავისს ძალ-ღონეს ლუკმა პურის ძებნას არ ალევდეს აწინდელსავით.

* * *

რადგანაც სამღვდელოებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ურიგო არ იქნება აქვე სიამოვნებით აღვნიშნოთ, რომ ეპარქიალურ სამოსწავლო საბჭოს სიღნაღის განყოფილებამ სამაზრო ზედამხედველ-თავმჯდომარის მღ. ი. მირიანაშვილის წინადადებით გადასწყვიტა სამაზრო წიგნთ-საცავი დააარსოს სიღნაღის მაზრის სოფლების ერთს შუაგულ ალაგას. ამისთანა სამაზრო წიგნთ-საცავის დაარსებას აქაური სამღვდელოება დიდად ჰსაჭიროებდა, რადგანაც ხელმოკლეობა სიღარიბისა გამო ცალკ-ცალკე არ შეეძლოთ ყველა საჭირო-წიგნ-ჟურნალ-გაზეთები შეეძინ-გამოეწერათ. ამ უსახსრობისა და შეუძლებლობისა გამო თითქმის მომეტებული ნაწილი სამღვდელოებისა მოკლებული იყო გონების ვარჯიშსა და თანამედროვე ლიტერატურისა და მეცნიერების წინსვლის თვალყურის დევნებას, რაიცა ერთი უპირველეს მიზეზთაგანია კაცის გონების დაჩლუნგებისა და ხასიათის გათახსირებისა. ამისთანა გარემოებაში კაცს ნელნელა ცნობის მოყვარეობა და ხალისი ცოდნის შეძენისა ეკარგება, ყოველგვარ საზოგადო საქმისა და დაწესებულების მიმართ გულს იცრუებს, აღარ ეხალისება თავისთა მოძმეთა ბედ-იღბალი. უმთავრესს საზრუნავ საგნად და ცხოვრების მისწრაფებად თავისი კერძო კეთილდღეობა და ფუფუნება გაუხდია. ერთის სიტყვით, ამისთანა კაცს დაუკარგავს ხატება ღვთისა და ცოცხლად სატირელი გამხდარა.

ქიზიყის სამღვდელოება სიხარულით მიეგება ამ სამაზრო რჩევის მიერ კეთილს გარდაწყვეტილებას და თავისს საბლაღოჩინო-კრებაზედ ერთხმად დაადგინეს, ყოველ წლივ წიგნთ საცავის სასარგებლოდ, თითო კრებულზედ ორ-ორი მანეთი შეიწეროს. ამ მოკლე ხანში ჩვენს ქიზიყს შეემატება ერთი სულიერი საუნჯე, სადაც ყოველგვარი საჭირო წიგნი და ჟურნალ გაზეთობა უნდა მოიძებნებოდეს. სწორედ დიდს სამსახურს გაუწევს ეს წიგნთ-საცავი ჩვენს, როგორც სასულიერო, ისე საერო კაცთ.

* * *

ეხლა ჩვენში ინჟინერ რომანოვის ხელმძღვანელობით იკვლევენ კახეთის რკინის გზის მიმართულებას. მომავალ რკინის გზას მარჯვე და სახეირო მიმართულება აქვს მიცემული ამ გამოკვლევით. თუ ეს მიმართულება დარჩება საბოლოვოდ, რკინის გზა ქიზიყის წინამხრის სოფლებს რკალსავით შემოერტყმ-შემოევლება, ზოგიერთს სოფელზედ ზედ შუაზედ გაივლის, მაგალითად, როგორც სოფ. საქობოსა, ქვემო-მაჩხაანსა და სხ. აქ მეტია ლაპარაკი, რა დიდი სავაჭრო-საალებ-მიცემო მნიშვნელობა ექმნება ამ რკინის გზას ქიზიყისათვის. ის კი უნდა ითქვას, რომ ჩვენებური გლეხ-კაცი სასოება-იმედით შესცქერის ამ მომავალს რკინის გზის განხორციელებას—„კაცო, იქნება ამ ძაღლ-უმადლო ცხოვრებას, როგორშიაც ეხლა ჩვენა ვართ ჩაფლულნი, რკინის გზის გაყვანის შემდეგ, ბოლო მოეღოს“? შესჩივიან ერთმანეთს და უზიარებენ თავიანთს გულის ნადებ-პასუხს. რომ შეეკითხოთ, რა სარგებლობას მოელითო მომავალის რკინის გზისაგან, გიპასუხებენ: „ჯერ ერთი, ჩვენს ნაწვავ-ნადაგ სისხლის ოფლით მონაგარ ნაჭირნახულევს ფასი დაედება და ჩალის ფასად აღარ ჩავუგდებთ ხელში სათოკე ჩარჩვაჭართ და ეხლანდელივით უღვთოდ აღარ გავეყვლეფინებით—მეორედ, სამუშაო გაჩნდება, როდესაც ჩემს ყანა ვენახს დავიმუშავებ, წავალ რკინის გზაზე სამუშაოდ, ორიოდე გროშს ვიშოვნი, ცოლ-შვილსაც გამოვკვებ, ჩავაცმევ, დავხურავ და ათას გვარ მტერ-მოყვარესა და ხარჯ-გარდასახადსაც პირ-ნათლად გავისტუმრებო“. ღმერთმა ქმნას, ეს დიდის ხნის რკინის გზის მოლოდინი მალე გამართლებულიყოს.

ე. მ—შვილი

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**დ. ხონი.** წარსულს თვეში ქ-ნის ნ. გ. და ა. ს. ქუთათელაძეების თაოსნობით აქ სცენის მოქმედთ წარმოდგენა იყო გამართული. წარმოადგინეს გ. გუნიას დრამა „და-ძმა“. საზოგადოება ბლომად დაესწრო წარმოდგენას. ადგილის უქონლობისა გამო ბევრი იძულებული იყო სახლში დაბრუნებულიყო. სცენის მოყვარეთა მწყობრმა და მოხდენილმა თამაშმა ყველანი ასიამოვნა. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ბ. ს. მდივანმა (გაიოზ ფაღავა), რომელიც ჩაჰკვირვებოდა თავისს როლს, საფუძვლიანად შეესწავლა იგი და ზოგიერთი სცენები, მაგ. სცენა საპყრობილეში, ისე ხელოვნურად ჩაატარა, რომ ჩვენს საუკეთესო არტისტებს მოგვაგონებდათ. რიგიანად შეასრულეს თავიანთი როლები ქლ. ჩარკვიშვილმა (ოტია ჯოლია) და რ. ქუთათელაძემ (ფარად-ფაშა). წმინდა შემოსავალი 91 მან იყო, რომელიც დანიშნულს საქმეს მოხმარდა.

ხონელი საზოგადოება დიდის თანაგრძნობით ეგებება სცენის-მოქმედთ აზრით გამართულს საღამოებს, უფროკა წარმოდგენებს ეტანება. ამისათვის აქ შეიძლებოდა ზაფხულობით ოთხი—ხუთი წარმოდგენა გამართულიყო, ხალხს გონებრივი საზრდო ექმნებოდა და შემოსავლით-კი ათასგვარი მოთხოვნილება დაკმაყოფილდებოდა, ხელს გვიშლის მხოლოდ ერთი გარემოება: სცენაზედ მოთამაშე ქალები არა გვყავს. შეგნებულ მანდილოსანთა რიცხვი ხონში საკმაოა, მაგრამ, სამწუხაროდ, სცენაზედ გამოსვლას თაკილობენ და იძულებულს გვყოფენ ქუთაისიდგან მოვიწვიოთ მოთამაშენი. სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ამ ჩვეულებას წელს ზურგი შეაქციეს ქლ. და ა. ქუთათელაძეებმა, წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს და ამითი კეთილი მაგალითი უჩვენეს სხვებს.

პ. კ.

# რუსეთი

რკინის გზაზედ ხშირია ხოლმე უსიამოვნობა იმის გამო, რომ მგზავრი ბილეთს იყიდის და რადგანაც ვეღარ წავა, ბილეთი გაბათილებული რჩება და ფულს-კი უკან აღარ უბრუნებს რკინის გზა. ახლა რკინის გზათა დეპარტამენტს გარდაუწყვეტია, რომ ბილეთის ფასი მგზავრს უკან დაუბრუნდეს ხოლმე, თუ მგზავრი ბილეთს იმავე კასსაში წარადგენს, სადაც იგი იყიდა და არა უგვიანეს ორის საათისა, ვიდრე მატარებელი დაიძვრებოდეს. ასეთი მოვლენა ძალიან ხშირია ხოლმე უფროკი მაშინ, როდესაც ბილეთს ქალაქის სადგურებში, ან სატრანსპორტო კანტორებში ყიდულობენ, სადაც მგზავრს ბილეთის ყიდვა რამდენისამე დღით ადრე შეუძლიან.

— რკინის გზათა სამმართველოს ამ ჟამად განსახილველად წარდგენილი აქვს ნავთის მწარმოებელთა კრების მიერ აღძრული საგანი იმის შესახებ, რომ ნავთის გადატანაზედ ერთნაირი გარდასახადი იქმნას დადგენილი, როგორც იმ შემთხვევისათვის, როდესაც ნავთი მილებით გაჰყავთ, ისე მაშინ, როდესაც ცისტერნის ვაგონებით გადააქვთ იგი ერთის ადგილიდგან მეორეში.

— როგორც რუსეთის ზოგიერთს გუბერნიაში უცდიათ, ციმბირის ჰირის აცრას კარგი შედეგი მოჰყოლია. ციმბირის ჰირი, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობებიდგანა სჩანს, შინაურ ცხოველებისთვის აუცრიათ.

— ექიმთა საერთაშორისო კრებაზედ დასასწრებლად მოსკოვში ჩამოსული ტურინის უნივერსიტეტის პროფესსორი ჩეზარე ლომბროზო გრაფის ლ. ნ. ტოლსტოის მამულში წასულა.

— საგლეხო დებულების გადასასინჯველად დანიშნულს კომისიას, რომელიც სექტემბრიდგან კვლავ შეუდგება მუშაობას, ერთი ფრიად საყურადღებო საგანი აქვს განსახილველი, სახელდობრ გლეხთა ქონების სხვა წოდების წარმომადგენელთა ხელში გადასვლის საქმე, რაიცა კანონის ძალით აღკრძალულია და ისევ გლეხს თუ გარდაეცემა, როდესაც გამოსასყიდს თანხას გადაიხდის. დღემდის ეს კანონი ხშირად ირღვევა ყველგან და სოფლის საზოგადოება ნელ-ნელა ჰკარგავს იმ მიწებს, რომლებიც საუფლო ქაღალდებში სწერია.

# უცხოეთი

**ოსმალეთი.** მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამას წინად კონსტანტინეპოლში ერთსა და იმავე დღეს სამს ალაგას მოახდინეს სომხებმა აფეთქებაო. ამფეთქებელნი სამივე შეიპყრეს; ერთს ეძახიან მისაკს, მეორეს—იოვანეს და მესამეს—სარქისს. იოვანემ განაცხადა, რუსეთიდგანა ვარო. გაზ. „Local Anz“. სიტყვით, სამივენი განათლებულნი უნდა იყვნენო. სარქისას გამოჰკითხეს პერის გუბერნატორმა და პოლიციის კომისარმა. გამოკითხვის დროს მან ყოველივე განაცხადა და სთქვა, რომ ეს რამდენიმე კვირა იქმნება, რაც რუსეთიდგან კონსტანტინეპოლში მოვედი და აქ შემაგულიანეს აფეთქება მომეხდინაო. ამ რამდენისამე დღის წინად შემატყობინეს, რომ აფეთქება უნდა მოახდინო, რადგანაც კენჭის ყრით შენ შეგხვდა კომიტეტის გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანაო. აგრეთვე შეატყობინეს სარქისას, რომ აფეთქების დროს ერთი სხვა კაციც დაგეხმარებაო. ყუმბარები ორივემ უცნობის კაცისაგან მიიღეს თურმე: ბრძანება ისეთი იყო, რომ ჯერ სარქისას უნდა გადაეგდო ყუმბარაო და თუ ის არ აფეთქდებოდა, მაშინ იმის თანამხლებელს. ის სომეხი, რომელიც ბანკში აპირებდა ყუმბარის აფეთქებას, კონსტანტინეპოლელია და სულ ახალგაზდა კაცია. სომხების შარშანდელ აჯანყების შემდეგ იგი კონსტანტინეპოლიდგან ჯერ ბოლგარიაში და შემდეგ ოდესაში წასულა. რამდენისამე ხნის შემდეგ უკანვე დაბრუნდა თურმე ინგლისელის სავაჭრო გემით და რადგანაც ასეთს გემებს პოლიცია დაწვრილებით არა სჩხრეკავს, შეუმჩნევლად მივიდა კონსტანტინეპოლში. ყუმბარა, რომლითაც იმას ბანკი უნდა აეფეთქებინა, ამერიკაში ყოფილა მომზადებული. ყუმბარას სამი პატრუქი ჰქონდა თურმე. იოვანე გამოკითხვის დროს ჯერ არაფერს ამბობდა, ხოლო შემდეგ იძულებული გახდა ხმა ამოეღო და, სხვათა შორის, სთქვა, რომ იმ ორ სომეხთაც მე მივეცი ყუმბარებიო. „მე დამნაშავე არა ვარ, რომ დროზედ პატრუქის მოკიდება ვერ მოვასწარი, ინსტრუქციები მქონდა და ვალდებული ვიყავ იმით მეხელმძღვანელნა. ამის გამო ბანკის შენობის შიდა ოთახებში შევედი და კიდეც შევამჩნიეს. მე ნაბრძანები მქონდა ბანკის უმთავრესის დირექტორის ოთახამდე მივსულიყავი“.

**გერმანია.** აი რას ამბობს გერმანიის გაზ. „Kod nische Zeitung“-ი ინდოეთის შესახებ: „როგორც ინდოეთიდგან მოსულის ცნობებიდგანა სჩანს, იქ უთუოდ მაჰმადიანთა ახალი აჯანყება მოხდება ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ. გერმანია ვერაფერს ისარგებლებს ამ შემთხვევით ბ უნდა უცადოს დროსა ბ გარემოებას. ზოგიერთი ჩვენი გაზეთები იმ აზრისანი არიან, რომ გერმანიისთვის დიდი ბედნიერება იქმნება, თუ რუსეთი ინდოეთს დაეცა და ინგლისს მიწები წართვაო, მაგრამ ეს გაზეთები ძალიან შემცდარნი არიან. გერმანია პირიქით, უფრო იზარალებს, რომ ინგლისის ადგილი აზიაში, ან სხვა

ქვეყანაში „ორთა კავშირმა“ დაიჭიროს, რომელიც ეცდება თავისი აზრი და სურვილი ძალად აკისრებინოს ევროპასაო. გარდა ამისა, ინგლისი ჯერ-ჯერობით მაგრადა სდგას და არ შეიძლება იმისი ეგრე აბუჩად აგდება, როგორც ეხლა ბევრი სცდილობსო“.

## ნაკვესი

ბრალდებულს განსაკუთრებულ წყალობის გამო ნება მისცეს, რომ თითონ ამოერჩია, როგორის სიკვდილით დასჯათ.

— ეჰო, სთქვა: თავის მოჭრა, ჩამოხრჩობა, დახვრეტა არაფრად მომწონს, ისევ მოხუცებით სიკვდილს გარჩევო.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასპენის მადნებში მუშაობის დროს მუშებს უპოვნიათ ერთი ცალი ვერცხლი, რომელიც 136 ფუთის სიმძიმე აღმოჩენილა. მუშებს ძლივს ამოუტანიათ მაღნიდგან ეს ვერცხლი.

***

მთელ დედამიწის ზურგზედ რაც ტელეგრაფის მავთულია, ერთი ერთმანეთზედ, რომ გადააბას კაცმა 7,110,000 ვერსის სიგრძე გამოვა თურმე. გარდა ამისა ზღვაში რომ ტელეგრაფის მავთულებია გაბმული, 263,340 ვერსი იქმნება. ტელეგრაფის მავთულების საერთო სიგრძე ევროპაში 2,556,000 ვერსია, აზიაში,—450,000, აფრიკაში—144,000, ამერიკაში 3,645,000 და ავსტრალიაში—315,000. ამ გვარად სჩანს, რომ ამერიკას ტელეგრაფის მხრივ პირველი ადგილი უჭირავს, ხოლო ევროპას მეორე.

***

ერთი ფრანგული ჟურნალი სწერს, რომ ინდოეთის ლერწამი ძლიერ გამოსადეგია შენობებისთვის, რადგანაც ეს ლერწამი ძლიერ სუბუქია და იმავე დროს მაგარი და გამძლე. იავას კუნძულის მცხოვრებნი ამ ლერწამს მხარზედ გაიდებენ ხოლმე, ჩამოჰკიდებენ ზედ მძიმე რამ ტვირთს და ისე მიაქვთ. ამ ლერწამის ღირსება კიდევ ის არის, რომ დედამიწაში და წყალში ძლიერ გვიანა ლპება. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ იაპონელები შენობებისათვის უფრო ლერწამს ეტანებიან.

***

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ამერიკაში ქაღალდის სახლებს აშენებენ და ამბობენ კიდეც, რომ ქაღალდის სახლი ყოველის მხრივ სჯობია ქვისა და ხის სახლსაო.

ეხლა თურმე გერმანიაში ქაღალდის ზარბაზანს აკეთებენ და ამბობენ, ქაღალდის ზარბაზანი სიმაგრით ფოლადის ზარბაზანს არ ჩამოუვარდებაო და ისეთი სუბუქია, რომ ერთს კაცს შეუძლიან ზურგზედ შემოიკიდოს და ატაროს.

## სასამართლოს მატიანე

გლეხის მიერ ცოლის მოკვლის საქმე

14 აგვისტოს ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე სიღნაღის მაზრის მცხოვრებელის ტიტიკო ნადირაშვილის, რომელსაც ჰბრალდებოდა თავისის ცოლის ეკატერინეს მოკვლა. აი იმ საქმის ვითარება: 1897 წლის 5 მარტს სიღნაღის მაზრის გლეხი ტიტიკო ნიდირაშვილი მოვიდა ტფილისის მეექვსე ნაწილის ბოქაულთან და განუცხადა თურმე, რომ ჩემი ცოლი ჩემ დაუკითხავად და ნება-დაურთველად ტფილისის ერთს საროსკიპო სახლში შესულა და ამიტომ გთხოვთ სოფელში გაგზავნოთ და ამითი აიძულოთ, რომ ან პატიოსნად იცხოვროს ჩემთან ან გამეყაროსო. მეორე დღეს ბოქაულმა დაიბარა ეკატერინე ნადირაშვილისა და ურჩია ქმარს გაჰყოლოდა სოფელში. ეკატერინემ პირველად უარი სთქვა, მაგრამ როდესაც შეიტყო, რომ ძალათი გაგზავნიან, წასვლის თანხმობა განაცხადა. 7 მარტს ტფილისიდგან წავიდნენ, იმავე დღეს ფოსტის სადგურს ორ-ხევში მივიდნენ და ღამე აქ გაათენეს. მეორე დღეს დილით ადრე გზას ფეხით გაუდგნენ თურმე ცოლ-ქმარნი და არ გასულა რამდენიმე საათი, ორ ხევში მგზავრებმა მოიტანეს ამბავი, რომ ეკატერინე ნადირაშვილი აქედგან ხუთის ვერსის სიშორეზედ გზის ნაპირას მოკლული ჰგდიაო. შეპყრობილმა ნადირაშვილმა განაცხადა, რომ ორ-ხევს გავცილდით თუ არა, ჩემი ცოლი აღარ მომდევდა და ტფილისში აპირობდა დაბრუნებასაო. ამის გამო ჩხუბი მოგვივიდა, რომლის დროს ეკატერინემ ჯიბიდგან დანა ამოიღო და დარტყმას მიპირებდა, მე აღარ დავაცალე, ხანჯალი ვიძრე და მოვკალიო.

ტფილისის ოლქის სასამართლომ ტიტიკო ნადირაშვილი დამნაშავედ სცნო და მიუსაჯა ყოველისავე უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და სამ წელიწად ნახევრით პატიმართა როტაში გაგზავნა.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

17 აგვისტო

**ბერლინი.** გაზეთები გუშინდელ სადღეგრძელოების გამო ძლიერ გაკვირვებულნი არიან, რადგანაც ეგონათ ოფიციალური სიტყვები კრასნოე სელოში იქმნენ დასრულებულნიო, სადაც მხედრობისა და ფლოტის სადღეგრძელოები იქმნა წარმოთქმული. უმთავრესს ყურადღებას ხელმწიფე იმპერატორის სიტყვებს აქცევენ იმის შესახებ, რომ ორმა მოკავშირე ერმა გარდასწყვიტა მსოფლიო მშვიდობიანობა არაფრით არ იქმნას დარღვეული.

**პარიზი.** სახელმწიფოთ უარი განაცხადეს სალისბიურის წინადადების შესახებ, რომლითაც იგი თხოულობდა, რომ საბერძნეთის სესხი სამხედრო საზღაურის გადასახდელად ინგლისს, საფრანგეთსა და რუსეთს უზრუნველეყოთ. სახელმწიფოთა აზრით, საჭიროა მათი თანხმობა არაფრით არ იქმნას დარღვეული.

**პარიზი.** მთავრობამ გადასწყვიტა სამშაბათს, რესპუბლიკის პრეზიდენტის უკან დაბრუნების დღეს, პარიზის საზოგადო დაწესებულებათა შენობები და დეპარტამენტები ბაირაღებით იქმნას მორთული.

„ტან“-ი ამბობს, გუშინდელ სადღეგრძელოების გამო პრეზიდენტის საფრანგეთში დაბრუნებას დიდებული სადღესასწაულო ხასიათი ექნებაო. ფრანგ-რუსთა კავშირმა მთელს ევროპასა და ქვეყნიერობას უნდა ამცნოს, რომ შიში არაფრისა არა აქვთო. დასრულდა ერთი ხანა, ახლა მეორე დაიწყო. მარტოობისა და თვით-მოყვარეობის პოლიტიკამ თავისი დრო მოიჭამა, დღეიდგან მტკიცედ და მშვიდობიანად იწყებს მოქმედებას საურთიერთო თანამშრომლობისა, ხელის შეწყობისა და ერთობის პოლიტიკა, რომელიც ყველას და თითოეულს ერთგვარად მიანიჭებს სიკეთესაო.

„ლიბერტე“ ამბობს, ევროპა ფრანგ-რუსთა კავშირს, როგორც მომავალ რწმენის თავმდებს, სიხარულით მიიღებს, რადგანაც მან უნდა მიანიჭოს ევროპას მშვიდობიანობა, სიმართლესა და კანონიერებაზედ დამყარებული.

**ნანსი.** რუსეთთან კავშირის შეკვრის ამბავმა აქ დიდი აღტაცება გამოიწვია. ქალაქის საბჭომ დაუყოვნებლივ განკარგულება მოახდინა, რომ ქალაქის სახლი ბაირაღებით მოერთოთ და მცხოვრებთაც მოწოდება გაუგზავნა, რომ თავიანთი სახლები მორთონ ბაირაღებით.

**სიმლა.** კვეტაში ხალხი შეწუხებულია იმის გამო, რომ რკინის გზის მახლობლად, ბოლანის გასავალში ტელეგრაფის მავთულები ორჯელ გაუწყვეტიათ.

**ბომბეა.** პუნაში შავი ჭირი იანდათან ძლიერდება. ავადმყოფებს ხავკინის შრატს ახმარებენ, უცრიან.

**სიმლა.** პოლკოვნიკი გორდონი ხვალ თავისის რაზმით კოხატის გასავალს გადივლის და სამანის ოლქში წავა.

ხაიბერის მსროლელ ჯარის-კაცთა რაზმს, რომელიც აფრიდთაგან შესდგება და სამრუდის ჯარების ნაწილს შეადგენს, 26 აგვისტოს, დილით მისსავე ოფიცრებმა იარაღი აჰყარეს.

**პარიზი.** პარიზი უკვე ემზადება, რომ ფორის დაბრუნება იდღესასწაულოს. ვაჭართა კომიტეტი უკვე შეუდგა იმის შემუშავებას, თუ როგორი დღესასწაული გადაიხადონ. იმ გზაზედ, რომლითაც ფორი გაივლის, კერძო სახლები ბაირაღებით იქნება მორთული. ქალაქის საბჭო ღარიბებს 100,000 ფრანკს დაურიგებს.

**პეტერბურგი.** 16 აგვისტოს, დილის 9 საათზედ, ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფა იმპერატრიცა „ალექსანდრია“-ს გემით პეტერგოფიდგან პეტერბურგს დაბრუნდნენ და პეტრე-პავლეს ტაძარში მიბრძანდნენ, სადაც ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე III საფლავის წინ ილოცეს. $10^{1}/_{2}$ საათზედ მათნი უდიდებულესობანი პეტერგოფსავე მიბრძანდნენ.

18 აგვისტო.

**პეტერბურგი.** 17 აგვისტოს, საღამოს, ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული დიდის მთავრინებისი ოლგა ნიკოლოზის ასულის და ტატიანა ნიკოლოზის ასულითურთ პეტერგოფიდგან ვარშავში წაბრძანდნენ. იმავე საიმპერატორო მატარებლით წავიდნენ ვარშავში დიდნი მთავარნი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე და პავლე ალექსანდრეს ძე. მათ უდიდებულესობას თან ახლავან: გოფმეისტერინა უგანათლებულესი კნეინა გოლიცინისა, ფრეილინა კნიაჟნა ოაოლენსკისა და კნიაჟნა ბარიათინსკისა, სამხედრო მინისტრი, საიმპერატორო კარის სამინისტროს გენერალ-ადიუტანტი რისტერი, სასახლის კომენდანტი გენერალ-ადიუტანტი გესსე, მათის უდიდებულესობის ამალის გოფ მარშალი გენერალ მაიორი ხრაფი ბენკენდორფი, მათის უდიდებულესობის გოფ-მეისტერი გრაფ გენდრიკოვი, ლეიბ-ხირურგი ექიმი გირში, ფლიგელ-ადიუტანტი პოლკოვნიკი ბარონ მეინდორფი.

**ბომბეი.** ბოლანსის გასავალში ვიდრე კვეტტამდის მცხოვრებნი ჯერ კიდევ არ დაწყნარებულან. ტელეგრაფის მავთულები ხელ-ახლა დასწყვიტეს. ზემოდ დასახელებულ ადგილში მცხოვრებნი ციარსტის მახლობლად იკრიბებიან, რაიცა დიდს ალიაქოთს იწვევს. დედაკაცები და ბავშვები წაიყვანეს.

პეტერბურგის ბირჟა, 16 აგვისტო.

| | მყიდველის. | გამყიდველის. | გარიგების. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | „ — | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურო ბანკისა . . . | $205^{1}/_{2}$ | — „ | — „ |
| $4^{1}/_{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | $100^{5}/_{8}$ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | $99^{1}/_{4}$ | — „ | — „ |
| % პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | 286 | — „ | — „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | $245^{1}/_{2}$ | — „ | — „ |

## წერილი რედაქციის მიმართ

—

ულრმეს მადლობას ვუცხადებთ ქ. თელავში მცხოვრებს თინათინ სვიმონის ასულს ბურჭულაძისას, რომელმაც ხიდისთავის სახალხო წიგნთ საცავ-სამკითხველოს შემოსწირა შემდეგი წიგნები: „ასული ლევან მეფისა“, მოთხრობა მირიანაშვილისა; ალექსიანი ს. მ. აღწერა წმ. ნინოს ცხოვრებისა, მღ. ელიოზიძისა. „სიალალ-მართლე კაცს არ დაჰკარგავს“, ბ. დავითაშვილისა; „საქართველოს მეფე და ორი გლახა“, ანუ ბაგრატოვანთ გვირგვინი, კიკნაძის გამოცემა, თხზულება შიუკოვისა; „ჩემო შვინდავ“, შ. არაგვისპირელისა, „შალვას ნანახი ხატი“, ვაჟაფშაველასი; „ასის წლის შემდეგ“, თარგმ. კალანდარი შვილისა; „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, ი. გოგებაშვილისა.

გამგე ხიდისთავის წიგნთ-საცავ-სამკითხველოსი პოლიევქტო კალანდაძე

## განცხადებანი

### ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ სამოცდა შვიდი ვაკანსია (67): პირველ განყოფილებაში—45 (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), მეორეში —15 8) და 9 წლ. ყმაწვ.), მესამეში 2 (9 და 10 წლ. ყმაწვ.) და მეოთხეში—5 (10 და 11 წლ. ყმაწ.); გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის, გარდა მეხუთე კლასისა.

2) 67 ვაკანსიდგან 66 არის დანიშნული გარედგან მოსიარულებისათვის და ერთი არის საზოგადოების სრულს ხარჯზედ.

3) ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზედ იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება.

4) ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, რომ იგი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც გარედგან მოსიარულეთ ჰსურს შემოსვლა, იმისათვის საჭიროა იგივე ქაღალდები, გარდა დამფუძნებლობისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს იმ შემთხვევაში მსურველნი მიღებული იქმნებიან წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანების შესაფერ კლასისათვის.

7) ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი-კი ბევრია, სკოლის კავშირის კომიტეტი იძულებული იქნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფული არის დარჩენილი, იმისთვის რომ ადგილი დაუცალოს ახლად შემომსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა სთხოვს მშობლებს, რომელთაც სრულად არა აქვთ შემოტანილი სწავლა-აღზრდის გარდასახადი, რომ უთუოდ შემოიტანონ პირველს ენკენისთვისათვის, რაც არის მათზედ დარჩენილი, თორემ იმათი შვილები უსათუოდ იქნებიან დათხოვნილი პანსიონიდგან.

8) შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელ-მეორედ გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარს ხარჯზედ ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარის ხარჯით. ვინც საკუთარის ხარჯით შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი—ათი შემოსვლისათანავე და ათი იანვარში.

9) თხოვნა უნდა შემოტანილ იქმნას აგვისტოს ოც-და-ხუთამდის. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოჰგზავნონ შემდეგი ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянской школой, на Лобораторной ул. дом. Селинова.

10). აგვისტოს 25, 26 და 27 რიცხვებში მოხდება მისაღები ეგზამენები და ხელ-მეორედ გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა. 1 სექტემბერს დაიწყება სწავლა.

11) დათხოვნილ იქმნებიან აგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ $18^{97}/_{98}$ სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს.

12) ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინოს თავდები ტფილისში მცხოვრებთაგან, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევებშიაც.

(5—უ.—3)

Дозволено цензурою, Тифлисъ 18-го Августа 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.